საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4549/01
06/05/2021

4549-01-2-202105061729

შპს „ნეოგაზს“
მის: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N18

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 აპრილის N6991 N6994, N7000, N7001, N6998, N6989 და N6995 სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ დაზუსტებას საჭიროებს პროექტების სამინისტროში წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი. სკრინინგის განცხადებები წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად. აღსანიშნავია რომ კომპანიას, სკრინინგის განცხადებებით წარმოდგენილ ობიექტებზე, არსებულ საქმიანობებთან დაკავშირებით მიღებული აქვს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები. სკრინინგის განცხადებებით განსაზღვრული საქმიანობები წარმოადგენს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილებების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებებს დაიწყებს ზემოაღნიშნული სკრინინგის განცხადებების „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ. ამასთან სკრინინგის განცხადებებში განხილულ უნდა იქნეს არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საქმიანობები და ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები.

N6991 განცხადებაზე დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით N01.13.01.001.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ამასთან, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის (იხ. დანართი) მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) ავტოგასამართი კომპლექსი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობებიდან ერთ-ერთს, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.**

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე